საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბრიელ მაიორი

გაბრიელ მაიორი (გ. IX. 1795), ქართველი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე. მისი გვარი უცნობია. რუსეთში ახლდა ერეკლე II-ის ელჩს ანდრონიკაშვილს. იქ შეისწავლა საარტ. საქმე და სამშობლოში მაიორის სამხ. წოდებით დაბრუნდა. მსახურობდა ერეკლე II-ის ჯარში. თბილისში დგამდა წარმოდგენებს, წერდა პიესებს, მსახიობობდა. მისი მონაწილეობით წარმოდგენები გამართულა თელავშიც. დაიღუპა კრწანისის ბრძოლაში, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ზ., მოკლე ისტორია ქართულის თეატრისა (1791–1906), თფ., 1906; А м а г л о б е л и С. , Грузинский театр, М., 1930; Д ж а н е л и д з е Д., Грузинский театр с древнейших времен до второй половины XIX в., Тб., 1959.

დ. ჯანელიძე